ეროვნული ბიბლიოთეკა

Poti ფოთი 91

# 30 წლის წინათ საქართველოში დასაბამი მიეცა წყალსათხილამურო სპორტის განვითარებას 30 წლის შემდეგ საქართველო ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს

## წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე დარჩა 4 დღე,

ლელო
№ 150 (10 563)
10 აგვისტო,
შაბათი,
1991 წ.
ფასი 10 კაპ.
საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**გადის წლები და ფოტოსურათი, რომელიც დიდხანს საოჯახო ალბომში ინახებოდა, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ისტორიისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცეს. ეს ორი ფოტოსურათიც ისტორიის ნაწილია, ქართული სპორტის ისტორიის ნაწილი. სურათებზე თქვენ ხედავთ წყალსათხილამურო სპორტის ქართველ პიონერებს შუნარა ცნობილაძეს და ოთარ ჩხეიძეს. მასალას საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის პირველ ნაბიჯებზე გთავაზობთ დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზე.**

## ჩემპიონატის პროგრამა

**14 აგვისტო.** 09.00-18.00 — ოფიციალური ვარჯიშები
21.00 — ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. ცნობილ მსახიობთა კონცერტი

**15 აგვისტო.** 09.00-10.30 — წინასწარი შეჯიბრება. სლალომი (ვაჟები) სერია 3
11.00-13.00 — წინასწარი შეჯიბრება. ფიგურული სრიალი,
14.30-15.00 — წინასწარი შეჯიბრება. ფიგურული სრიალი
16.00-18.00 — წინასწარი შეჯიბრება. ხტომები (ქალები) სერია 2-1

**16 აგვისტო.** 9.00-11.15 — წინასწარი შეჯიბრება. სლალომი (ვაჟები) სერია 2-1
11.30-13.30 — წინასწარი შეჯიბრება. სლალომი (ქალები) სერია 2-1.
15.00-16.00 — წინასწარი შეჯიბრება. ხტომები (ვაჟები) სერია 3
16.30-18.30 — წინასწარი შეჯიბრება. ფიგურული სრიალი (ვაჟები) სერია 2-1



**17 აგვისტო.** 09.30-12.00 — წინასწარი შეჯიბრება. ხტომები (ვაჟები) სერია 2-1
14.30-16.15 — ფინალი. სლალომი (ქალები).
16.45-17.45 — ფინალი. ფიგურული სრიალი (ვაჟები)

**18 აგვისტო.** 10.30-12.00 — ფინალი. ხტომები (ქალები)
14.00-15.00 — ფინალი. სლალომი. (ვაჟები).
15.15-16.00 — ფინალი. ფიგურული სრიალი (ქალები)
16.15-18.00 — ფინალი. ხტომები (ვაჟები).
20.00 — დახურვის ცერემონიალი.

* * *

## ყველაზე უკეთ მოირგო...

**ევროპის** ჩემპიონატისათვის მზადების პროგრამაში ახლახან მოსკოვში გამართული წყალმოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ნაკრების წევრთათვის ერთ-ერთი „ბოლო მოთელვა“ გახლდათ. ამ დროს, ცხადია, ზედმეტ რისკსაც ერიდებიან და ძალებსაც ზოგავენ, ასე რომ, შეჯიბრებას წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ჩვენი სპორტსმენების ამ ტურნირში გამოსვლას სხვა ერთობ პრაქტიკული მიზანიც ჰქონდა — „საქმეში“ უნდა გამოეცადათ ახალშეძენილი ალჭურვილობა.

ყველაზე უკეთ „ახალი სამოსი“ გენადი გურალიამ მოირგო და აკი გაიმარჯვა კიდეც ტრამპლინიდან ხტომაში — 45,8 მეტრი. მას არც სლალომში შეურცხვენია თავი — შეჯიბრება მეორე შედეგით დაასრულა, საბოლოოდ კი, მრავალჭიდში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დაიკავა ადგილი.

**ბრაზილიაში** დამთავრდა 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა ნინო ხურციძემ, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულა მოაგროვა (მწვრთნელი ელგუჯა ფხაკაძე).

## ღია პირველობაზე...

**მოსკოვის** ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში საასპარეზოდ მიწვეულნი იყვნენ უკრაინის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ბევრი ქალაქის წარმომადგენლები.

ერთეულთა თანრიგებში წარმატებას ამიერკავკასიის ჩოგბურთელებმა მიაღწიეს. მოსკოვის ჩემპიონი ვაჟთა შორის გახდა დათო კაჰარავა, რომელმაც ფინალში ტაშკენტელ დ. ტომაშევიჩს აჯობა — 7:5, 6:0. ქალებში პირველი ადგილი ერევნელმა ა. ხალათიანმა დაიკავა, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა მოსკოველ ნ. ეგოროვას მოუგო — 6:3, 6:2.



ქალთა წყვილებში უძლიერესნი ერევნელები (ხალათიანი — ა. კოურეგიანი) იყვნენ, ვაჟებში კი გამარჯვება ტომაშევიჩ — ს. პონომარიოვის (მოსკოვი) დუეტს ერგო

# მოგონებათა ბურუსში...

**წყალსათხილამურო** სპორტში ევროპის ჩემპიონატისთვის ფოთის მზადებამ, საქართველოში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვამ — არ შევარცხვინოთ ქართული სტუმარ-მასპინძლობა კონტინენტის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების, მეთვალყურეებისა თუ სხვა საქმიანი წრეების წარმომადგენლების წინაშე, ამ სახეობის პირველ დამწყებთ, ალბათ, ბევრი რამ მოაგონა წარსულიდან. ამ წერილის დაწერაც სწორედ ერთმა ამგვარმა ფაქტმა მიკარნახა:

ამას წინათ რედაქციაში გვეწვია წყალსათხილამურო სპორტის ერთ-ერთი პიონერი შუნარა ცნობილაძე და თან მოიტანა ფოტოების — საქართველოს პრესიდან ამონაჭრების დასტა — ისინი ჩვენს რესპუბლიკაში წყალსათხილამურო სპორტის „აისზე“ მოგვითხრობენ. ბევრი რამ გავიხსენეთ.

საწყლოსნო თხილამურები პირველად ჩვენში 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. ცნობილმა მთამსვლელმა თემო კუხიანიძემ, რომელმაც საბოლოოდ მთამსვლელობას შესწირა თავი, სადღაც ნანახი ამ ინვენტარის საკუთარი ხელით (მაშინ მისი შეძენა დიდი პრობლემა იყო) დამზადება განიზრახა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დიდხანს ჩაჰკირკიტებდა მას. უნდა გენახათ, რა სიხარულს განიცდიდა მთასა და წყალზე შეყვარებული ეს უბადლო ვაჟკაცი, როცა მისმა „შემოქმედებამ“ მეტ-ნაკლებად კარგად ჩააბარა გამოცდა — შეიძლებოდა წყალზე სრიალი.

სულ მალე საქართველოში აქა-იქ გაჩნდა ნამდვილი თხილამურები. „პიონერთა“ რიგები სწრაფად იზრდებოდა. მალე პირველობის გამართვაც გადაწყდა, მონაწილეობის მსურველნი კი ძირითადად დედაქალაქელები იყვნენ, თითო-ოროლამ გამოთქვა სურვილი სოხუმიდან, ფოთიდან, ბათუმიდან...

წყალსათხილამურო სპორტში კუხიანიძეს მხარი დაუმშვენეს უმეტესად ისეთებმა, რომლებიც სამთო-სათხილამურო სპორტით იყვნენ გატაცებულნი და, ასე თუ ისე, იცოდნენ სრიალისა თუ სლალომის ტექნიკა — გოგი ჰეჰინაძემ, ვადიმ ვალოვიჩკომ, ზურაბ მაისურაძემ, ცოტა გვიან — გელა მიქაბერიძემ. მათ რიგებს მალე შეემატნენ ახალგაზრდა ინჟინრები: ალექსანდრე სანაძე, (შემდეგში პირველი უმაღლესი კატეგორიის არბიტრი საქართველოდან, ამ სახეობის, მე ვიტყოდი, ნამდვილი ფანატიკოსი). ოთარ გოცირიძე, ოთარ ჩხეიძე. გიზო ბაქანიძე, იური შავიშვილი, ვაჟა ძაგანია, გივი ყიასაშვილი, სხვები... ვაჟებმა გოგოებიც აიყოლიეს — შუნარა ცნობილაძე, ლილი ქავთარია („საქსოფლმშენსახპროექტის“ სპეციალისტები), მზია დიასამიძე (კარგად ცნობილი ველოსიპედისტი, რომელმაც საბოლოოდ გზატკეცილებზე რბოლას წყალზე სრიალი ამჯობინა).

პირველი რესპუბლიკური (უფრო სწორად, თბილისის) ასპარეზობის შემდეგ ოფიციალური სექციაც გაჩნდა დედაქალაქში — „საქსოფლმშენსახპროექტში“.

**შუნარა ცნობილაძე:** „რა თქმა უნდა, ძრავიან ნავზე გამობმული ბაგირით სრიალის პირველი გაკვეთილები ერთობ რთული გამოდგა ჩვენთვის — სამთო მოთხილამურეებისთვის, რომელთათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ბაკურიანის კოხტაგორას მწვერვალიდან თხილამურებით დაშვება, მაგრამ ყველა მალე დაგვიპყრო და ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ყოველ თავისუფალ დროს თბილისის ზღვაზე ვატარებდით“...

პირველ სტარტებს პირველი წერილები მოჰყვა გაზეთებში. ლელოელთაგან — მეც დილიდან საღამომდე ზოგჯერ, ენთუზიასტებთან ზღვაზე ვიყავი. საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ირჯებოდნენ — არაფრიდან აწყობდნენ ტრასებს, ტრამპლინს, რის ვაი-ვაგლახით ვარჯიშობდნენ უხეირო კატერით. მათთან ერთად განვიცდიდი ტრასის უშეცდომოდ პირველად გავლისა და ტრამპლინიდან არა უშავს რა ნახტომის სიხარულს თუ წარუმატებლობის სინანულს. ამ სახეობამ ბევრთან დამაახლოვა, დამამეგობრა. ასე გაჩნდა პირველი წერილები...

მონდომებამ თავისი გაიტანა — თბილისისა და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების მხარდაჭერით გუნდიც შეიქმნა. მოეწყო შეხვედრები უკრაინის, მოსკოვის, ბელორუსიის, ასე განსაჯეთ, საფრანგეთის მოყვარულებთანაც კი.

**შუნარა ცნობილაძე:** „ლენინგრადელებმა მიგვიწვიეს მატჩზე. ციოდა. „მალაია ნევაზე“ ვიასპარეზეთ. წყლის წვეთები უკვე სეტყვად მხვდებოდა სახეზე. თითქმის ნაგვემმა დავამთავრე ცდა. ვიფიქრე — შეჯიბრებას ველარ გავაგრძელებ, ფილტვების ანთება არ დამემართოს-მეთქი — მაგრამ ყველაფერი დამავიწყდა, როცა კვლავ სტარტზე მიხმეს“...

„...ოთარ გოცირიძეს კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები. ბორჯომელ სპორტსმენს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში და მეტოქეთათვის ყოველთვის წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას. პირველობას მუდამ მისი ბაკურიანელი ან მესტიელი მეგობრები ისაკუთრებდნენ, მაგრამ იმედს არ კარგავდა — სჯეროდა, რომ ისიც ოდესმე დაისაკუთრებდა სლალომში უძლიერესის სახელს. და აი, მიაღწია კიდევაც მიზანს — გახდა საქართველოს ჩემპიონი... წყლის თხილამურებით შეჯიბრებაში“. — წერდა „ლელო“ ამ 28 წლის წინათ.

გივი ყიასაშვილი.

ეს იყო თბილისის ზღვაზე. იქ მაშინ პირველად მოეწყო რესპუბლიკის ჩემპიონატი წყალთხილამურებით და ასპარეზობა უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო, მოიწვიეს ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, დუბნის, მურმანსკის გუნდებიდან. საქართველოს პირველობაში ძალებს ცდიდნენ კავშირის ჩემპიონები: ფილინი, როჟკოვა, პრიზიორები: ნეხაევსკი, ლიტვინოვა, პაფნუტოვი, სხვები... სულ 26 მონაწილე შეგროვდა. პროგრამაში იყო წყვილი და ცალი თხილამურებით სლალომი. ტრამპლინიდან ხტომა.

ვიდრე რამდენიმე სიტყვით ამ შეჯიბრებაზე ვიტყოდე, მაგონდება, რა მაღალი შეფასება მისცეს სტუმრებმა თბილისის ზღვის ბუნებრივ პირობებს სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეში. საერთოდ, მის მთელ ზედაპირზე, განსაკუთრებით იმ უბეში, სადაც ფიზკულტურის კომიტეტის ბაზა იყო, მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი სავარჯიშო სარბიელის მოწყობა შეიძლებაო. მერე ეს აზრი უცხოელებმაც დაადასტურეს, თითქოს კიდევაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები, მაგრამ... ცენტრმა მაინც ფოთში გადაინაცვლა...

...საქართველოს პირველ ჩემპიონატში წყვილი თხილამურებით მოასპარეზეებს თითქმის 300-მეტრიანი ტრასა (16 წინაღობით) ორ-ორჯერ უნდა გაევლოთ. სიჩქარე 40 კილომეტრს არ აღემატებოდა და მაინც, პირველი ცდით ფინიშამდე მონაწილეთა მესამედი ძლივს მივიდა. რას იზამ, ტექნიკის სრულყოფამდე ყველას დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. დუბნელები: ნეხაევსკი და როჟკოვა დაწინაურდნენ. საბოლოოდ, საქართველოს ჩემპიონობა ცნობილაძემ მოიპოვა.

უფრო დაძაბული იყო ვაჟთა ბრძოლა. როცა კატერის სისწრაფე 60 კილომეტრამდე გაზარდეს, სარბიელს 5 კაციღა შემორჩა, უჯარიმოდ (კარის გამოტოვებისათვის) არავინ დარჩენილა. პაფნუტოვს ყველაზე ნაკლები აღმოაჩნდა, გოცირიძე მეოთხე, სამაგიეროდ, მასპინძელთა შორის პირველი იყო, ამიტომაც, „ტყეპროექტის“ ამ ინჟინერ-მშენებელს მიეკუთვნა პირველი ჩემპიონის ტიტული. პროგრამის მეორე სახეობაში — ცალი თხილამურით სრიალში — რესპუბლიკის მეორე ჩემპიონის „დაბადების“ მოწმე გავხდით — ეს იყო ყიასაშვილი, რომელიც „ბურევესტნიკის“ ღირსებას იცავდა. განთიადელი გოცირიძე კი ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა. ყიასაშვილის თანაგუნდელი ალექსანდრე სანაძე ახლაც მესამე იყო, ოღონდ ამ ვარჯიშში ადგილი შუნარას ძმასთან — გიორგისთან გაიყო.

კიდევ ერთი დეტალი მინდა გავიხსენო, სულ რაღაც ორი წლის მერე, თბილისის ზღვამ საკავშირო ჩემპიონატს უმასპინძლა. აქ შეგროვდნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. საქართველოს ღირსებას იცავდნენ სანაძე, გოცირიძე, შავიშვილი, ყიასაშვილი, შუნარა ცნობილაძე, ვალერი მეჟოვი — რესპუბლიკის ჩემპიონატის „გმირები“. სამწუხაროდ, მასპინძლებმა ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი — წყვილი თხილამურებით ასპარეზობაში ჩვენებიდან საუკეთესო სანაძე მხოლოდ მეცამეტე ადგილს დასჯერდა, ოქროს მედალი კი ლენინგრადელ იური ჟუკოვს ხვდა...

ეს ყველაფერი თითქმის სამი ათეული წლის წინ იყო. ენთუზიაზმი თანდათან ჩაიფერფლა — საქართველოში მატების ნაცვლად იკლო მომეცადინეთა რიცხვმა. (უმეტესად ინვენტარის უქმარობის გამო), მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ფერფლმა მაინც შეინახა ნაღვერდალი. მან კვლავ იჩინა თავი, ოღონდ, როგორც უკვე ვთქვი, ამჯერად ფოთში აბრიალდა სასიკეთო ცეცხლი — აქაურთა მონდომებით საქართველო კვლავ გამოჩნდა დიდ სარბიელზე — ფოთის სკოლის აღზრდილებმა ზედიზედ წარმატებებსაც მიაღწიეს საერთაშორისო ტურნირებში, დღეს-ხვალ კი, უფრო სწორად 14 აგვისტოდან, იქ ევროპის ჩემპიონატსაც უმასპინძლებენ.

იმ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა და საპატიო სტუმართა შორის, ალბათ, ისინიც იქნებიან, ვინც პირველი კვალი გაავლო წყალზე, ვის შესახებაც ზევით ვისაუბრეთ. იქ, ფოთში, უთუოდ ბევრს გაიხსენებენ წარსულიდან და დატკბებიან იმ ასპარეზობის ხილვით, რომლის მსგავსი ჩვენში აქამდე არასოდეს გამართულა.

**ოთარ გელაშვილი**

თბილისის ზღვაზე. 1962 წ.

## პრეფექტურის დადგენილებით

**ხობი.** რაიონის პრეფექტურის საგანგებო დადგენილებით აქ ამჟამად მიმდინარეობს რაიონული სპორტული თამაშები, რომელიც სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ეტაპია. 9 სახეობიდან შეჯიბრებები უკვე დამთავრდა თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობასა და ცურვაში, სადაც ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის აღსაზრდელებმა იმარჯვეს. ფრენბურთსა და კალათბურთში საუკეთესონი იყვნენ საფეხბურთო კლუბ „კოლხიდას“ წარმომადგენლები, ქართულ ჭიდაობაში ყველას აჯობეს პირველი მაისის კოლმეურნეობის ფალავნებმა, მაგიდის ჩოგბურთში პირველები მეურნეობა „კოლხეთის“ სპორტსმენები იყვნენ.

შვიდი სახეობის შემდეგ ოლიმპიური რეზერვის სკოლა ლიდერობს.

**„ლელოს“ კორ.**

## ქართული ჭიდაობა ვახანში

**ხარაგაულის** რაიონის ამ პატარა სოფელმა პირველად უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში რაიონის პირველობას. ეს პატივი ვახანელებმა ბოლო წლებში ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის დაიმსახურეს. ამ სოფლის ფალავნებმა დავით ქურდაძემ, ვეფხია ლონლაძემ, აკაკი ბლიაძემ, მერაბ არევაძემ, თემურ ლომსაძემ, თემურ არევაძემ რაიონის ჩემპიონობა მოიპოვეს. პირველი ადგილი დაიკავეს აგრეთვე, ზაზა ლურომნაშვილმა (ვერტყვი ჭალა), პაატა ჭანკოტაძემ (სალაწძილე) და შალვა შარზქაძემ (ლეღვანი).

**ზაზა გელაშვილი**



## ზესტაფონში მკლავჭიდის ზეიმი

რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ზესტაფონიდანაა ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის პრიზიორი ზაურ ცხადაძე.

ამ დღეებში სწორედ ზ. ცხადაძის სახელობის პრიზი გათამაშდა ზესტაფონში. შეჯიბრებაში ხარაგაულელი და თერჯოლელი მკლავჭიდელებიც მონაწილეობდნენ. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: **59 კგ:** 1. ლაშა თოდუა (ზესტაფონი), 2. ზურაბ შავიძე (ხარაგაული), 3. კახა შავიძე, (ზესტაფონი). **68:** 1. რატი ლაბაძე, 2. გოჩა მეგრელი (თერჯოლა), 3. ამირან ბახტიძე (ზესტაფონი), **80:** 1. ალეკო არაბიძე, 2. ზურაბ ცხადაძე, 3. მირიან მდივანი (სამივე—ზესტაფონი). **90:** 1. გოჩა კუპატაძე, 2. შალვა ბედიაშვილი (ორივე — ზესტაფონი), 3. გიორგი მაკარიძე (თერჯოლა), **მძიმე წონა:** 1. სერგო ცხადაძე, 2. გოჩა ტაბატაძე, 3. როინ სამხარაძე (სამივე—ზესტაფონი). აბსოლუტურ პირველობაში გაიმარჯვა სერგო ცხადაძემ.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს ფულადი ჯილდოებიც გადაეცათ.

**დავით ლამბაშიძე,**
**„ლელოს“ კორ.**
**ზესტაფონი.**

## ჩოგბურთის ამბები

**ცინცინატი.** ამერიკის ამ ქალაქში გრძელდება ვაჟთა საკმაოდ ავტორიტეტული ტურნირი. მესამე წრეში, ფაქტობრივად, ყველა ლიდერმა გაიმარჯვა ივან ლენდლის გარდა. იგი დამარცხდა მეთოთხმეტე ნომრად განთესილ დერიკ როსტანოსთან (აშშ) — 6:7, 6:3, 3:6. ბორის ბეკერმა (გერმანია) დაამარცხა მელივაი უოშინგტონი (აშშ) 6:4, 6:4, სტეფან ედბერგმა (შვეცია) — ამოს მან სდორფი (ისრაელი) — 6:1, 6:2, ჯიმ კურიემ — მაიკლ ჩანგი (ორივე — აშშ) — 7:5, 6:2, ანდრეი ჩერკასოვმა (სსრკ) — დევიდ უიტონი (აშშ) 6:3, 6:2.

**ტორონტო.** გამარჯვებათა სერიას აგრძელებს ახალგაზრდა ამერიკელი ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი. ამჯერად, მან დაამარცხა ინგლისელი სარა გომერი 6:2, 6:3. კანადის ღია ჩემპიონატის მეოთხე წრეში გავიდა, აგრეთვე, მინსკელი ნატალია ზვერევა, რომელმაც ამერიკელ ჯოლინ ვატანაბეს აჯობა — 7:6, 6:0.

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატის მეორე ტურში გილერმო პერესროლდანმა (არგენტინა) კარლ-უვე შტეებს (გერმანია) აჯობა — 6:4, 6:0, ჰორაციო დე ლა პენამ (არგენტინა) კი ხუან აგილერას (ესპანეთი) — 6:2, 6:3. ავსტრიელმა ჰორსტ სკოფმა დაამარცხა დიმიტრი პოლიაკოვი (სსრკ) — 6:4, 6:1.

# „გულხელდაკრეფილნი ვერ ვიქნებით“

**„თუ საჭირო გახდა იმგვარი გამოცდა, ვაჟკაცობის იმგვარი საზომი, რომლითაც ყველაზე უკეთ განიზომება რისი შემძლეა ადამიანი, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სპორტის კომბინირებული სახეობა — ალბათ, ხუთჭიდი“.**

**პიერ დე კუბერტენი**

**თუ** ჩავუფიქრდებით თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის სულისჩამდგმელისა და საზოგადო მოღვაწის ამ სიტყვებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სპორტის ეს სახეობა რჩეულთა ხვედრი უნდა იყოს. მოწოდება — „მასობრიობიდან ოსტატობამდე“, ამ შემთხვევაში, რჩება იმად, რაც სინამდვილეში იყო — ლიტონ სიტყვებად. დიახ, რაც უნდა გავაფართოოთ მისი გავრცელების არეალი, თუნდაც მთელი რესპუბლიკა მოვიცვათ თანამედროვე ხუთჭიდით, ბევრს მაინც ვერაფერს მივაღწევთ — იგი მაინც ერთგვარად ელიტარულ სახეობად დარჩება და ცალკეულ „წერტილებში“ მოიყრის თავს. გავიხსენოთ მაგალითი უნგრეთისა, რომლის ხუთჭიდელები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელს მსოფლიოში — იქ მთელი ძალები თავმოყრილია ბუდაპეშტში... ჩვენი ხუთჭიდის ცენტრი კი, მოგეხსენებათ, თბილისია.

— საქართველოს ხუთჭიდელები — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამირან შეროზიამ, — 1979 წლიდან მოყოლებული სისტემატურად გამოდიან სხვადასხვა საერთაშორისო ოფიციალურ ტურნირებში და მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს მწვრთნელთა კოლექტივს, რომელსაც ხელეწიფება მოამზადოს საერთაშორისო კლასის ხუთჭიდელები. მათი ჩამოთვლა ზედმეტად მიმაჩნია, რადგან სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ეს სახელები.

ახლა, ჩვენი სპორტის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, შევინარჩუნოთ ძირითადი ბირთვი, რათა მის კვალს გაჰყვეს ახალგაზრდობა.

რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილნი ვერ დაველოდებით ხვედრს. ამიტომ, უკვე მოველაპარაკეთ გერმანელ კოლეგებს იმის თაობაზე, რომ გაგვიწვიონ ამ ქვეყნის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება. სხვათა შორის, საქართველოს გუნდი ამ ტურნირის 1989 წლის მეორე პრიზიორია. მაშინ მხოლოდ უნგრელებმა გვაჯობეს, პირად პირველობაში კი ვახტანგ იაგორაშვილი მეორე ადგილზე გავიდა, ჩვენი იუნიორი ვიაჩესლავ მალიშევი თანატოლთა შორის მესამე იყო. ეს გახლავთ საკმაოდ სოლიდური ასპარეზობა, რომელშიც ტრადიციულად მონაწილეობენ პოლონეთის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ფინეთის წარმომადგენლები.

ამას მოჰყვება გამოსვლა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ღია პირველობებში.

● **რას გვეტყვით საქართველოს სპორტულ თამაშებში ხუთჭიდელთა მონაწილეობაზე, თამაშების ფინალური ეტაპი ხომ ოქტომბერში უნდა გაიმართოს, მას კი წინ უძღვის რეგიონალური ასპარეზობები...**

— რა რეგიონალურ ასპარეზობებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენი სახეობა რესპუბლიკის ქალაქებში მაინცდამაინც დიდად განებივრებული არც ადრე იყო და ამას დაემატა ის, რომ ბოლო ხანს პერიფერიის ხუთჭიდელებს, რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო, მთლიანად მოესპოთ სროლაში ვარჯიშის საშუალება — მათ ჩამოერთვათ პისტოლეტები და არ გაჰკარებიან სასროლეთს. ამიტომ მხოლოდ თამაშების ფინალური ნაწილით შემოვიფარგლებით და, ვფიქრობ, ეს ასპარეზობა იქნება პირველი ეტაპი ეროვნული გუნდის მზადებისა ოფიციალური შეჯიბრებისათვის. ამისათვის გადავწყვიტეთ, პარალელურად გავმართოთ საქართველოს ღია ჩემპიონატიც. მასში მოვიწვევთ ბელორუსიის, ესტონეთის, ლიტვისა და სომხეთის წარმომადგენლებს, ამ რესპუბლიკებში ხომ ძალზე პოპულარულია ხუთჭიდი, იციან მისი ფასი და მათთან მუდმივი კონტაქტებიც გვაკავშირებს.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ადრე ქუთაისი და სოხუმი ნაკრებს შევსებას აძლევდა. სოხუმში აღიზარდა, მაგალითად, საქართველოს მოზარდთა მეორე თამაშების ჩემპიონი ალექსეი ბელოუსოვი, რომელმაც ახლა მტკიცედ მოიკიდა ფეხი რესპუბლიკის ნაკრებში. ესე იგი, თუ მოინდომებენ და გულთან ახლოს მიიტანენ ხუთჭიდის ბედს, სხვა ქალაქებშიც შეიძლება თუნდაც ერთი მაღალი კლასის სპორტსმენის აღზრდა, რაც ჩვენთვის საკმაო შეღავათი იქნება და ეს უნდა გაითვალისწინონ პერიფერიაში.

ესაუბრა **უშანგ ჭიჭინაძე**

## ფეხბურთის ამბები

### ვაი, სირცხვილო!

**ლაგოსი.** აქ გამოცხადდა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის დათხოვნის ამბავი. მიზეზი ცოტა არ იყოს, პიკანტურია: ბურკინა-ფასოს გუნდთან შეხვედრაში ნიგერიის ფეხბურთელები მოედანზე... უტრუსებოდ გამოვიდნენ.

შეხვედრის არბიტრმა გასახდელში გაიგო, რომ ნიგერიელებს არ ჰქონდათ ტრუსები და რომ მათ სასწრაფოდ გადაჭრეს მუხლის ზემოთ საწვრთნელი რეიტუზები. ამის გამო მატჩის დაწყება მთელი 40 წუთით დაგვიანდა.

თამაში ნიგერიელებმა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგეს ანგარიშით 7:1, მაგრამ ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრმა იოჰან კურემ ამ ფაქტს „ეროვნული თავის მოჭრა“ უწოდა. ასოციაციაც სწორედ მისი მოთხოვნით დაიშალა. ფეხბურთის ახალმა ხელმძღვანელმა ორგანომ უკვე დაიწყო მუშაობა.

### მარცხი მერვე შეხვედრაში

**ოსლო.** გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ნორვეგიისა და შვეციის გუნდებს შორის. მატჩს „ულევის“ სტადიონზე 10 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

ანგარიში მეთერთმეტე წუთზე გახსნა მასპინძელთა ნახევარმცველმა ლეონარდსენმა, მაგრამ ორ წუთში ნილსონის საპასუხო გოლის შემდეგ აღდგა წონასწორობა — 1:1. ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე შვედმა რონბახმა გაიტანა მეორე გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა — გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 2:1.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნორვეგიელებმა, რომლებმაც 28 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სსრკ-ის გუნდს უნდა უმასპინძლონ, მანამდე შვიდი წაუგებელი შეხვედრა ჩაატარეს.

### „გეშლებათ, ბატონო მწვრთნელო!“

**ცნობილი** დანიელი ფეხბურთელი პრებენ ელკიაერ-ლარსენი ერთ დროს „კიოლნში“ თამაშობდა. ერთხელ, ვარჯიშის დაწყების წინ, მწვრთნელმა ვაისვაილერმა იგი განზე გაიხმო.

— გუშინ ღამით, ბარში ყოფილხართ ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად და არყის ბოთლიც გამოგიცლიათ!.

— გეშლებათ, ბატონო მწვრთნელო!

— არა! სრულიად უტყუარი ინფორმაცია მაქვს.

— გიმეორებთ — გეშლებათ!

— როგორ?

— როგორ და არყის ბოთლი კი არ გამოვცალეთ, ვისკის შევექცეოდით.

● **ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ნება დართო ფარერის კუნძულების საფეხბურთო ფედერაციას საკუთარ სტადიონზე, რომელსაც „ესტურა“ დაერქვა, ჩაატაროს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. მართალია, აქ ჯერ კიდევ დასამთავრებელია სამუშაოები, მაგრამ უეფა-მ გაითვალისწინა ის, რომ ფარერის კუნძულები კონტინენტის ჩემპიონატის დებიუტანტია და მისთვის საჭიროა ხელშეწყობა. ფარერის ფედერაციამ 11 სექტემბრისთვის უნდა დაამთავროს „ესტურას“ კეთილმოწყობა. ამ დღეს აქ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია დანიშნული ფარერის კუნძულებისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის.

● **ბელგიის** სუპერთასზე ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნის ჩემპიონი „ანდერლეხტი“ და „ბრიუგე“. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 3:3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დამატებითი დრო არ დანიშნულა. 11-მეტრიანების სერიით გაიმარჯვა „ბრიუგემ“ — 6:5.

● **გერმანიის** სუპერთასზე ერთმანეთს შეხვდნენ „კაიზერსლაუტერნი“ (ჩემპიონი) და ბრემენის „ვერდერი“ (თასის მფლობელი). გაიმარჯვა „კაიზერსლაუტერნმა“ — 3:1.

● **საბჭოთა** კავშირის ჩემპიონატის მატჩში (უმაღლესი ლიგა), მოსკოვის „ლოკომოტივმა“ და ხარკოვის „მეტალისტმა“ ფრედ დაამთავრეს თამაში — 0:0.

# 25 ათასი დოლარი და კილოგრამი ოქრო

**ისე,** კაცმა რომ თქვას, კარლ ლუისს არასდროს სწყალობდა ბედი. ჯერ იყო და სისხლი გაუშრო ბენ ჯონსონმა, რომელიც საბოლოო ჯამში „ნარკომანი“ გამოდგა — დოპინგზე „დაიჭირეს“, თანაც სეულის ოლიმპიადის დღეებში, დიდების მწვერვალზე მყოფი. 1990 წელს ბენ ჯონსონის ნაცვლად ლუისს ახალი მეტოქე გამოუჩნდა. ეს გახლდათ თანაგუნდელი „სანტა მონიკას“ კლუბიდან ლეროი ბარელი, რომლისთვისაც ლუისი სათაყვანებელი კერპი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, კეთილი ნების თამაშებზე სიეტლში დაამარცხა და ხელთ იგდო ლიდერობა მსოფლიო სპრინტში.

„მაგრამ როგორც ამ სპრინტერების ნაცნობი მიმომხილველები აღნიშნავენ, ლუისს არასდროს ჩაუდვია გულში ხინჯი ახალგაზრდა მეტოქის მიმართ. პირიქით, თანაგუნდელს გარკვეულწილად პატრონობდა კიდეც. სხვათა შორის, მეტოქეთა კეთილი ურთიერთობა გუნდის სხვა წევრებსაც გადაედო და ალბათ, ეს არის იმის მიზეზი, რომ „სანტა-მონიკას“ კლუბის სპრინტერები მსოფლიოში უძლიერესად ითვლებიან.

...უფრო სწორად, ითვლებოდნენ მანამ, სანამ მათ მსოფლიო რეკორდი არ ჩამოართვა (ლაპარაკია ესტაფეტაზე 4X100 მ) საფრანგეთის კვარტეტმა. 37,79 მართლაც დიდებული შედეგი იყო და მას ხელს ადვილად ვერავინ წამოკრავდა. ეს შეეძლო განეხორციელებინა მხოლოდ „სანტა მონიკას“, მაგრამ იყო ერთი ნიუანსი, რომელიც დროულ გადაჭრას მოითხოვდა.

საერთოდ, უმაღლესი კლასის სპორტსმენთა (ამ შემთხვევაში სპრინტერთა) სიმცირე ერთი უბედურება გახლავთ, სიჭარბე კი... მეორე. ამერიკელებს ჰყავთ ორი გამოკვეთილი ლიდერი (ბარელი, ლუისი) და კიდევ რამდენიმე თანაბარი ძალის ფავორიტი. ესტაფეტის მონაწილენი, რომლებიც ფრანგების რეკორდის გაუმჯობესებას შესძლებდნენ, აქედან უნდა შეერჩიათ.

3 აგვისტოს, მონტე-კარლოში „გრან-პრის“ მეთოთხმეტე ეტაპზე „სანტა მონიკამ“ ლ. ბარელის, კ. ლუისის, მ. მარშისა და ფ. ჰერდის შემადგენლობით გაიმეორა ფრანგების სარეკორდო შედეგი. მაგრამ ეტყობოდა, რომ ჰერდი ამ ოთხეულს ოდნავ „ხელს უშლიდა“ და ამიტომ „გრან-პრის“ ციურიხის ეტაპზე გადაწყვიტეს მისი შეცვლა დენის მიჩელით. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ მანევრი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორი აღმოჩნდა და ახალი ოთხეულის ცდა მსოფლიო რეკორდით დამთავრდა.

ციურიხის სტარტების წინ გამოცხადდა, რომ მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის სპორტსმენი პრემიის სახით მიიღებდა 25 ათას დოლარს და... ერთ კილოგრამ ოქროს, მაგრამ ორგანიზატორები არ მალავდნენ, რომ ოქროს ოთხ ნაწილად გაყოფა მოუხდებოდათ. დიახ, ყველა დარწმუნებული იყო „სანტა მონიკას“ გამარჯვებაში, თანაც, უსათუოდ სარეკორდო შედეგით.

მაგრამ მოულოდნელად ერთმა უხერხულობამ იჩინა თავი: ვინაიდან, ჰერდის შემცვლელი მიჩელი არ იყო „სანტა მონიკას“ წევრი, კვარტეტმა ახალი სახელწოდება მიიღო — აშშ-ის ნაკრები. უხერხულობა, როგორც იტყვიან, ადგილობრივი მნიშვნელობის გამოდგა და არავის მიუქცევია ყურადღება მისთვის, მით უფრო, რომ ოთხეულმა ცდა წარმატებით დააგვირგვინა და ახალი მსოფლიო რეკორდი (37,67) დაამყარა. ფულიცა და ოქროც ამ კვარტეტმა ძმურად გაიყო.

„გრან-პრის“ ციურიხის ეტაპზე სხვა კარგი შედეგებიც იქნა ნაჩვენები. გთავაზობთ გამარჯვებულთა გვარებს.

**ვაჟები.** 100 მ. ლ. ბარელი (აშშ) — 10,04; 200 მ. მ. ჯონსონი (აშშ) — 20,08 (როგორც აღნიშნავენ, ორივე შემთხვევაში პირქარი ქროდა), 400 მ. დ. ევერეტი (აშშ) — 44,42; 800 მ. ჟ. ლ. ბარბოზა (ბრაზილია) — 1.43,75; 1500 მ. ნ. მორსელი (ალჟირი) — 3.31,00; მ. ონდიეკი (კენია) — 13.02,82; 110 მ. თარჯრბენი. რ. ნეჰემია (აშშ) — 13,22; 400 მ. თარჯრბენი. ს. მატეტე (ზამბია) — 47,10; 3000 მ. დაბრკოლებებით. მ. კიპტანუი (კენია) — 8.16,48; სიმაღლე. ჩ. ოსტინი (აშშ) — 2 მ. 40 სმ. ჭოკი. ს. ბუბკა (სსრკ) — 5 მ. 90 სმ; ბირთვი. ვ. გიუნტერი (შვეიცარია) — 20 მ. 99 სმ; ბადრო. კ. კეშმირი (აშშ) — 65 მ. 56 სმ; შუბი. ი. ჟელეზნი (ჩეხოსლოვაკია) — 88 მ. 78 სმ.

**ქალები.** 100 მ. მ. ოტი. (იამაიკა) — 10,87; 200 მ. ი. პრივალოვა (სსრკ) — 22,21; 1500 მ. ნ. არტიომოვა (სსრკ) — 3.59,16; 3000 მ. ე. მაკ-კოლგანი (ინგლისი) — 8.43,77; 100 მ. თარჯრბენი. ნ. გრიგორიევა (სსრკ) — 12,51; 400 მ. თარჯრბენი. ს. განელი (ინგლისი) — 53,61; სიგრძე. ლ. ბერეჟნაია (სსრკ) — 7 მ. 13 სმ.

# ალბერვილი — ჯერ უთოვლოდ

**დაუფარავი** სიამაყითა და მღელვარებით იხსენებენ საფრანგეთის ალპების კალთებში ჩაკარგული ალბერვილის მკვიდრნი 1986 წლის 17 ოქტომბერს, როცა სოკ-ის სესიაზე გადაწყდა, რომ ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა მათ ქალაქს დაევალა. ეს უკვე მესამედ მიიღებს საფრანგეთი თანამედროვეობის ყველაზე პოპულარულ ასპარეზობას. „თეთრი ოლიმპიადა“ პირველად შამონიში გაიმართა 1924 წელს, 34 წლის შემდეგ კი მას საუნივერსიტეტო ქალაქი გრენობლი და მისი შემოგარენი მასპინძლობდა, და აი, ახლა კვლავ საფრანგეთი...

საორგანიზაციო კომიტეტმა და მისმა „მხარდამჭერმა ჯგუფმა“ ხუთ წელზე ნაკლებ დროში და ურთულეს პირობებში დიდი, მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს ათასამდე კვადრატულ კილომეტრზე და ახლა თამაშების მასპინძლებს ოლიმპიური ცენტრების მშენებლობაში არავითარი პრობლემა აღარ აწუხებთ — ყველა ამოცანა გადაწყვეტილია. ქვეყნის სპორტულ რუკაზე გაჩნდა ისეთი შესანიშნავი სარბიელი, როგორიცაა „სპორტული თეატრი“, სადაც გაიმართება თამაშების გახსნის ცერემონიალი, აქვე შეეჯიბრებიან ერთმანეთს მოციგურავეები და ფიგურისტები; მწყობრშია ჰოკეისტთა ყინულის სასახლე, უნიკალური ტრასა ბობსლეისათვის, ევროპაში საუკეთესო 90 და 120-მეტრიანი ტრამპლინები. ყველაფერ ამას ემატება სუპერტრასები, მუტიეს ტელეკომპლექსი, ოლიმპიური სოფელი და ყველასათვის მოსახერხებელი პრეს-ცენტრი.

ჯერჯერობით თამაშებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის (4 მილიარდი ფრანკი) ნაწილია დახარჯული. სხვათა შორის, ეს თანხა ბევრად აღემატება კალგარის ბოლო თამაშების ხარჯებს. რაც შეეხება, დაფინანსების წყაროებს, მისი ერთი მესამედი თამაშების ტელეტრანსლაციის უფლებხს გაყიდვიდან და სპონსორებიდან შემოვა. მათ შორის არიან ცნობილი კომპანიები: „კოდაკი“, „კოკა-კოლა“, „ფილიპსი“ და სხვანი. დაახლოებით ერთი მილიარდი სახელმწიფომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოყვეს, დანარჩენი თანხა შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთების, სამკერდე ნიშნების, პროგრამებისა და სპეციალურად გამოშვებული მონეტების გაყიდვის შედეგად შევა სალაროში. სულ თამაშებზე (8-23 თებერვალი) სამას-ოთხას ათას მაყურებელს ელიან. საკმაოდ „სუსხიანი“ ფასების მიუხედავად, ნახევარი მილიონი ბილეთი უკვე გაყიდულია. აქ ფასმა 1700 ფრანკს მიაღწია. ციგურაობის, ორჭიდის, ბიატლონის, ფრისტაილის ბილეთების ფასი 60-80 ფრანკია.

უშუალოდ თამაშებს 300 შტატიანი მუშაკი გაუძღვება, მაგრამ მათ დაეხმარება უამრავი დამხმარე.

საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გრენობლის თამაშების გმირმა ჟან-კლოდ კილიმ განაცხადა: „ალბერვილის თამაშები საუკეთესო იქნება სპორტის ისტორიაში“. ამაში რომ დავრწმუნდეთ, სულ ნახევარწლიანი მოთმინებაა საჭირო.

# გენიოსის ცოლი

**პარიზის ჟურნალმა „პარი-მატჩმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მეუღლესთან, მაშა კასპაროვასთან. გთავაზობთ ამ საუბარს მცირეოდენი შემოკლებით.**

**შეუპოვარი**, მტკიცე, ძალისხმევის იმგვარი უნარის მქონეა, რომ წამში 750 ათასი ოპერაციის შემსრულებელი კომპიუტერი მის წინააღმდეგ უძლურია. თუმცა, კასპაროვს მაინც გააჩნია „აქილევსის ქუსლი“ — იგი ძალზე ემოციური ადამიანია. თანმხლებთა შორის თვალებით ყოველთვის ეძებს მაშას, რომელთანაც ამ ერთი წლის წინათ იქორწინა. — მე ყოველთვის მობილიზებული უნდა ვიყო, — ამბობს მაშა, — რათა სახე მუდმივად მშვიდი მქონდეს. მაშინ გარიც მშვიდად არის...

მაშა ოცდაექვსი წლისაა, გერმანული ენის სპეციალისტია.

● **როგორ გაიცანით გარი?**

— შემთხვევით, მეგობრებთან. მე არც კი ვიცოდი, რომ ისინი კასპაროვს იცნობდნენ. გარი ერთდროულად დიდ და უბრალო ადამიანად მომეჩვენა. იგი ყოველთვის მოულოდნელია. ქმრებს შორის შეიძლება ყველაზე სათნო და ნაზი იყოს, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, როცა იგი ჭადრაკის თამაშს ან საინტერესო წიგნის კითხვას იწყებს, უმჯობესია, ახლოს არ გაეკაროთ — იმდენად იკეტება საკუთარ თავში.

● **როგორ იქცეოდა გარი მსოფლიო პირველობის ბოლო მატჩის დროს?**

— ლიონში გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს, ვიდრე ნიუიორკში. სახლი, რომელშიც ვცხოვრობდით, დიდი პარკის მოპირდაპირე მხარეს იდგა. პარტიის დაწყებამდე გარი იქ სეირნობდა, ან ზოოპარკში მხეცების სანახავად მიდიოდა. ამას გარდა, თამაშობდა ჩოგბურთს, დარბოდა.

საღამოობით ერთ ძველებურ თამაშს ვთამაშობდით: ერთი გრძელი სიტყვიდან რაც შეიძლება სხვა ბევრი სიტყვა უნდა გამოგვეყვანა. გარი ყოველთვის იმარჯვებდა. მას ფენომენალური მეხსიერება აქვს. გამგზავრებამდე გვარიანად მოიკოჭლებდა ინგლისურში და ყოველთვის ვუსწორებდი. ჩვეულებრივ, სიტყვის გამეორება რამდენჯერმე არის საჭირო. გარი კი ყველაფერს ერთხელ თქმით იმახსოვრებდა.

● **გრძნობთ თუ არა, რომ თქვენი მეუღლე გენიოსია?**

— რასაკვირველია!

● **ხომ არ გაშინებთ ეს?**

— თავდაპირველად, ცოტა მიჭირდა. ვერაფრით ვეგუებოდი, რომ მის ცხოვრებაში მთავარი მისწრაფება მე კი არა, ჭადრაკი იყო. მოსკოვში მას ყველგან ცნობენ. ეს მეუხერხულებოდა კიდეც. ახლა ყველაფერს შევეჩვიე...

● **თქვენ თუ თამაშობთ ჭადრაკს?**

— მხოლოდ სვლები ვიცი. ეს არის და ეს.

● **თქვენმა ქმარმა უკვე ბევრი ფული იშოვნა, მსოფლიო პირველობის ბოლო მატჩის შემდეგ მილიონერი გახდა. ამის გამო, შეიცვლება თქვენი ცხოვრება?**

— საკმაოდ მდიდარ ოჯახში დავიბადე, მაგრამ ახლა ჩემს მშობლებთან ერთად მოსკოვში, პატარა, სამოთახიან ბინაში ვცხოვრობ. ჩვენ ნებართვა ვითხოვეთ ბინის ყიდვაზე, მაგრამ კარტოფილისა და ძეხვის მსგავსად, რიგში დგომა გვიხდება. რიგი, ალბათ, 1993 წელს მოგვიწევს. მაგრამ, შეიძლება ბინა ვალუტით ვიყიდოთ... ჩვენთვის საკმარისი იქნებოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მისვლა, რომ, უმალ გაჩენილიყო უფასო ბინა. მაგრამ გარის არ უყვარს ვინმეს რაიმე სთხოვოს.

● **გარის ხომ არ უნდოდა, სახლის ყიდვა საზღვარგარეთ?**

— არა!

● **ე. ი. დასავლეთი არ გაცდუნებთ?**

— ძალზე უმნიშვნელოდ. როგორც ყველა ქალს, მეც მიყვარს კარგად ჩაცმა, მაგრამ ტანსაცმლის კოლექციას არ ვაგროვებ. როდესაც ვმოგზაურობ, ყოველთვის ვცდილობ, საჩუქრები ვუყიდო მშობლებს, მეგობრებს.

ბებიაჩემი სამოცდათორმეტი წლისაა. მართალია, წუწუნა არაა, მაგრამ ვიცი, რომ სურსათი არ ჰყოფნის. მისთვის ჩამომაქვს ხოლმე შპრიცები, საკვები...

გარი ბევრ ფულს სწირავს საქველმოქმედო მიზნით.

● **თქვენი ქმარი ახალი ოპოზიციური პარტიის შესამჩნევი ფიგურა გახდა. თქვენც ხომ არ თამაშობთ რაიმე როლს პოლიტიკაში?**

— ძალიან მიყვარს კითხვა და უპირატესობას ოცნებას ვანიჭებ. გარის პირიქით — ფაქტები და სიზუსტე უყვარს. იგი რეალური ცხოვრებით დაინტერესებას მასწავლის. პოლიტიკა — ჭადრაკის მერე, გარის მეორე გატაცებაა.

● **რას ფიქრობთ რაისა გორბაჩოვაზე?**

— იგი კარგად იცვამს, თავიც ჩინებულად უჭირავს. მაგრამ, ხალხს აღიზიანებს იმით, რომ „ყელში ამომსვლელია“. ზოგიერთს იგი არ უყვარს იმიტომ, რომ იგი ძალზე ხშირად იცვლის ტუალეტებს. პირადად მე მომწონს. იგი უმაღლესი კლასის ქალია. თუმცა, ჩემი აზრით, დრომ მას რაღაცაში გაუსწრო...

● **თქვენ ლოცულობთ, როცა გარი პარტიას თამაშობს?**

— ვლოცულობ. მონათლული არა ვარ, მაგრამ მინდა მალე მოვინათლო. მოსკოვში მართლმადიდებლურ ეკლესიაში ვლოცულობ გარისთვის, ლიონში კათოლიკურ ეკლესიაში დავდიოდი. რელიგია ძალიან მიზიდავს. მე იგი ბიბლიამ შემაყვარა...

მწამს კეთილი და ბოროტი ძალებისა. ვფიქრობ, არსებობს მათი კონცენტრირების ძალა. ბევრი ჩემი თანატოლი გახდა მორწმუნე, ადრე კი, ასე არ იყო. მეჩვენება, რომ საბჭოთა კავშირისათვის ეს ყველაზე დიდი რევოლუციაა.

**მოამზადა ბელა ჯილაურმა.**

# გვიანღა მოიპოვეს დამოუკიდებლობა

**წლეულს**, შემოდგომაზე, ხუთი ერის პირველობის მონაწილე ქვეყნებში — ინგლისში, ირლანდიაში, შოტლანდიაში, უელსსა და საფრანგეთში — მოყვარულ მორაგბეთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყობა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ამ ზაფხულს სამხრეთ ნახევარსფეროში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებს რაგბის სამყარო ოთხწლეულის მთავარი შეჯიბრებისათვის სამზადისად აღიქვამს.

და მაინც არის ერთი გუნდი, რომელიც მეტოქეებს პანტა-პუნტით კი ამარცხებს, მაგრამ ამ მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლაზე ოცნებაც არ შეუძლია, რაკილა მისმა ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეჯიბრების შესარჩევი ეტაპის დაწყების შემდეგღა მოიპოვა. ეს გუნდი სამხრეთი აფრიკის ახალი სახელმწიფოს — ნამიბიის ეროვნული ნაკრებია. ივნის-ივლისში გამართულ ტესტ-მატჩებში ნამიბიელებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ არავისზე ნაკლებნი არ არიან და თავიანთ დედაქალაქ ვინდჰუქში ზედიზედ დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონატის სამი ფინალისტი: იტალია — 17:7 და 33:19, ზიმბაბვე — 34:15 და, რაც მთავარია, თვით ირლანდია — 15:6 და 26:15.

საფრანგეთის ნაკრები ირლანდიის მსგავსად სამხრეთ აფრიკაში აპირებდა ტურნეს გამართვას. ფრანგული რაგბის „მამებს“ იმედი ჰქონდათ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარება იმდენად მაინც გაუმჯობესდებოდა, სტუმარი რაგბის გუნდის უპრობლემოდ მიღება რომ შეძლებოდათ. მართლაც, ივლისის დამდეგს სოკ-მა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მოწყალე თვალით შეხედა, მაგრამ ეს ამბავი რაგბის ოდნავაც არ შეეხებია: ქეიფთაუნში „თეთრების“ რაგბის საბჭოსა და „შავების“ რაგბის კავშირს შორის ამ ორი ორგანიზაციის გასაერთიანებლად წამოწყებული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ ფრანგებმა სპარინგ-პარტნიორი ატლანტის ოკეანის გაღმა იპოვეს: დენვერში სძლიეს აშშ-ის ნაკრებს — 41:9.

ფრანგებისაგან განსხვავებით, ინგლისელებმა და უელსელებმა სამოგზაუროდ წყნარი და უხიფათო ადგილები — ავსტრალია და ფიჯი ირჩიეს, მაგრამ არჩევანში მაინც მოტყუვდნენ, რაკილა იქ არაერთი მწარე მარცხი იწვნიეს. განსაკუთრებით ძნელი ასატანი იყო ერთ დროს ძლევამოსილი უელსის გუნდის უმწეო თამაში ავსტრალიელთა წინააღმდეგ. მართალია, სტუმრებმა ექვსიდან სამი მატჩი მოიგეს: დასავლეთ ავსტრალიასთან (22:6, ფერსში), დედაქალაქის ოლქთან (7:3, კანბერაში) და ქვინზლენდის შტატის პროვინციებთან (35:7, როკჰემფთონში), მაგრამ სამიც წააგეს: ჯერ ქვინზლენდის შტატთან (24:35, ბრისბენში), შემდეგ ახალი სამხრეთი უელსის შტატთან (8:71, სიდნეიში) და ტესტი — ავსტრალიის ნაკრებთან (6:63, ბრისბენში). ჰოდა, რა გასაკვირი იყო, რომ ასეთი მარცხი ვერ აიტანა უელსის ნაკრების მწვრთნელმა რონ ვოლდრონმა, ფილტვში სისხლი ჩაექცა და საავადმყოფოში მოხვდა. უელსის რაგბის კავშირსაც ეს უნდოდა: მწვრთნელის შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა, იგი თანამდებობიდან გადააყენა და გაპარტახებული გუნდის აღორძინება მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე ახალ მწვრთნელს — ალუნ დევისს დააკისრა. ნაკრებს თავისი ნებით გამოემშვიდობა კაპიტანი, მცველი და დამრტყმელი ფოლ სორბერნიც: გარდა ამისა, უელსის რაგბის კავშირმა ავსტრალიისას წერილობით მოუბოდიშა იმის გამო, რომ უსიტყვოდ წაგებული ტესტის შემდეგ გამართულ ბანკეტზე უელსელმა მოთამაშეებმა გამარჯვებულ მასპინძლებს ჩხუბი აუტეხეს.

ხუთი ერის ჩემპიონ ინგლისს ტურნეს მარშრუტი უელსელებზე ძნელი კი ჰქონდა, მაგრამ უარესად ნამდვილად არ უთამაშია: მართალია, ინგლისმაც წააგო ახალ სამხრეთ უელსთან და ქვინზლენდთან, მაგრამ ნაკლები სხვაობით — 19:21 და 14:20. მერე იყო და სტუმრებმა დაამარცხეს ვიქტორიის შტატის გუნდი (26:9, მელბურნში) და „მომავალი ვოლაბები“, ანუ ავსტრალიის ახალგაზრდული ნაკრები (36:3, გოსფორდში). სიდნეიში ტესტის სათამაშოდ მიმავალი ინგლისელები გზად ფიჯიზე ჩამოხდნენ და ჯერ ნაინდიში წააგეს ფიჯის მეორე ნაკრებთან — 13:27, მერე კი დედაქალაქ სუვაში რის ვაი-ვაჩრობით, შეხვედრის დასკვნით 15 წუთშიღა სძლიეს მასპინძელთა პირველ ნაკრებს — 28:12 (12:9), რომლის რიგებშიც თავი გამოიჩინა ჰონკონგის შვიდკაცების გმირმა, გარე ნახევარმცველმა სერევიმ.

სიდნეიში, ახალთახალ და კეთილმოწყობილ საფეხბურთო სტადიონზე, ტესტ-მატჩს 39 ათასი კაცი დაესწრო. მასპინძლებმა, მეტსახელად „ვოლაბები“ რომ ჰქვიათ, უელსს ინგლისიც ზედ მიაყოლეს და 40:15 (ლელოებით 5:1) გაიმარჯვეს. „ვოლაბების“ გარემარბმა დევიდ ქემფიზმ ორი ლელოს გატანით ტესტებში გატანილი ლელოების თავისივე მსოფლიო რეკორდი 40 ლელოს უწია, გარე ნახევარმცველმა მაიქლ ლაინაფმა, კი, ასევე პირველმა მსოფლიოში, ტესტებში მოგროვილი ქულებით 600-იანი ზღვარი გადალახა.

ერთი სიტყვით, უელსისა და ინგლისის გუნდების განადგურებით, ავსტრალიამ დაამტკიცა, რომ დღესდღეობით მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია. ავსტრალიაა ერთადერთი გუნდი, რომელმაც 1987 წლიდან შეძლო მსოფლიოს პირველი ჩემპიონის — ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ დამარცხება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ივნის-ივლისში მან არგენტინაში იმოგზაურა და იქ გამართული ყველა თამაში მოიგო: როზარიოსთან — 81:9, ბუენოს-აირესთან — 37:9, ტუკუმანთან — 21:9, არგენტინის მეორე ნაკრებთან — 22:6, კუიოსთან — 47:12, მარ-დელ-პლატასთან — 48:6 და ტესტები — არგენტინის ნაკრებთან: 28:14 და 36:6. თუმცა, ერთი კია: ბოლო ორი სეზონი ყველა იმის ცდაშია, დაამტკიცოს, რომ „ოლ ბლექსი“ ამჟამად ის ველარაა, რაც უწინ იყო.

ვინ უფრო ძლიერია — „ოლ ბლექსი“ თუ „ვოლაბი“, ამ შაბათს გაირკვევა, როცა ბლედისლოუს გარდამავალი თასისთვის ავსტრალიელები სიდნეიში ახალზელანდიელებს უმასპინძლებენ. საპასუხო თამაში ორი კვირის თავზე ოკლენდში გაიმართება.

**ზაზა ფხაკაძე**

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის 31-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“**: დაშვებულია 1.320.898 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 33.022 მანეთი დაემატება 32-ე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 181.094 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (17) მოგება 4.888 მანეთია, ოთხისთვის (1.282) — 167.

საქართველოში: დაშვებულია 25.939 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—20.

**„სპორტლოტო 5 36“**: დაშვებულია 9.304.667 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (9) მოგება 50.948 მანეთია, ოთხისთვის (3.227) — 213, სამისთვის (127.236) — 9.

საქართველოში: დაშვებულია 177.290 ვარიანტი, 5—0, 4—58, 3—2.484.

31 და 22-31 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 24 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით.

**რედაქტორი**
**თენგიზ ბაჩეჩილაძე**



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

### 15 აგვისტო ● ფეხბურთი

საქართველოს 1991-92 წ. წ. ეროვნული ჩემპიონატი
**(უმაღლესი ჯგუფი, I ტური)**

**„იბერია“ (თბილისი) — „მრეტები“ (თბილისი)**
დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 13, 14 და 15 აგვისტოს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

II ჩემპიონატის საშვები და აბონემენტები ძალაშია III ჩემპიონატის ყველა მატჩზე.

## ლატარია „სპრინტის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

იწყება სპორტული ფულად-ნივთიერი ლატარია „სპრინტი-3“ „ცზც“ სერიის ბილეთების რეალიზაცია.

ამ სერიის მოგების ფონდი შეადგენს ბილეთების საერთო ღირებულების 50%.

ერთი ბილეთის ღირებულება — 3 მანეთი.

ლატარიაში თამაშდება ფულადი მოგებები 3-დან 25.000 მანეთამდე. ნივთიერ მოგებათა შორის არის 2 ავტომანქანა ვოლგა „გაზ 24-10“, 4 ავტომანქანა „ვაზ 21-05“ და 4 ავტომანქანა ზაპოროჟეცი „ზაზ-968 მ“.

შეგახსენებთ, რომ „აბბ“ სერიის ბილეთების მოგებათა განაღდების ბოლო ვადა იწურება 1991 წ. 31 ოქტომბერს.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „აბბ“ სერიის ლატარიის ბილეთებზე პრეტენზიები არ მიიღება.

გიწვევთ თამაშში მონაწილეობის მისაღებად.

მოთამაშეებს ვთხოვთ, წესრიგი და სისუფთავე დაიცვან „სპრინტის“ გაყიდვის ადგილებში, წაგებული ბილეთები ჩაყარონ სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ყუთებში!

**საქსპორტლოტო**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორი მ. ძიძამიძე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.